

მიხეილ მამნიაშვილი¹

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი/
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიმზერ ალანია²

სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტი/
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.20>

**ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემატიკა
გამოძიების სტადიაზე**

აბსტრაქტი. დასავლეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი უარყოფითი დამახასიათებელი ნიშანი იყო და დღესაც რჩება მისი არასტაბილურობა, რომელიც უფრო ხელისუფლების ცვლასთან იყო დაკავშირებული, სწორედ ამ მხრივ ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არა მარტო არსებითად სახის შეცვლა, არამედ „დამახინჯებაც“ კი, რამაც ბუნებრივია, უარყოფითი როლი ითამაშა საპროცესო კოდექსის თანდათანობით, ევოლუციური დახვეწისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით და ბუნებრივიცაა, უხეშად ირღვეოდა ადამიანის უფლებები. ნაშრომში აღწერილია ის უარყოფითი ტენდენციები, რასაც ადგილი ჰქონდა წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, ამასთანავე შემუშავებულია რეკომენდაციები ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მართლმსაჯულება, სისხლის სამართალი, გამოძიების სტადია, ადამიანი, უფლებები, უფლებების დაცვა, სასამართლო პროცესი, რეკომენდაციები.

¹ მიხეილ მამნიაშვილი, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

² გიმზერ ალასანია, სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

Mikheil Mamniashvili³

*Faculty of Law and International Relations/
Georgian Technical University*

Gimzer Alania⁴

Faculty of Law and Diplomacy/Sokhumi State University

Human Rights Protection Problems at the Investigation Stage

Abstract. Unlike to procedural legislation of Western countries, one of negative characteristic sign of Criminal Procedure Code of Georgia was and still remains its instability, which was more related to change of authority. Exactly the changes in the country held in this field have caused not only essential change of former Criminal Procedure Code but its disfiguration as well, which obviously has played the negative role in procedure code`s gradual perfection and improvement standpoint and its natural, as human rights has been roughly violated. The work describes the negative tendencies, those which was held during the governance of former authority, besides there are worked out some references for defects` eradication purposes.

Key words: Key words: justice, criminal law, investigation stage, human, rights, protection of rights, trial, recommendations.

ძირითადი კვლევა. დასავლეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი უარყოფითი დამახასიათებელი ნიშანი იყო და დღესაც რჩება მისი არასტაბილურობა, რომელიც უფრო ხელისუფლების ცვლასთან იყო დაკავშირებული, რადგანაც საპროცესო კანონმდებლობას, ისევე როგორც ზოგადად კანონმდებლობას, ახასიათებს ქვეყანაში მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი ცვლილებების მყისიერი ასახვის ტენდენცია და ახლად მოსული კანონმდებელი მის მიერ მიღებულ მიმდინარე ნორმატიულ აქტებს აქცევს იმ ჩარჩოებში და იმ მიმართულებით, რა სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასაც მმართველი ხელისუფლება ახორციელებს. სწორედ ამ მხრივ ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არა მარტო არსებითად სახის შეცვლა, არამედ „დამახინჯებაც“ კი, რამაც ბუნებრივია, უარყოფითი როლი ითამაშა საპროცესო კოდექსის თანდათანობით, ევოლუციური დახვეწისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით (როგორც ეს დასავლე-

³ Mikheil Mamniashvili, Doctor of law, Professor of the Georgian Technical University.

⁴ Gimzer Alania, Doctor of law, Associate Professor of Sokhumi State University.

თის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში მიმდინარეობს), ფაქტობრივად, ახლად მოსულმა კანონმდებელმა წინა საპროცესო კოდექსის თითქმის ყველა ძირითადი დებულება სწრაფად და მყისიერად შეცვალა, რომლის მიზანი, როგორც აშკარად შეიმჩნეოდა, თავიდანვე იყო ქვეყანაში მათთვის სასურველი სისხლის სამართლის პოლიტიკის დამკვიდრება.

ჩვენ მიერ მოყვანილ არგუმენტებში სრულად დავრწმუნდებით, თუ გადავშლით წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და გადავხედავთ მასში შესულ ცვლილებებსა და დამატებებს. სულ ადვილია იმის დანახვა, რომ 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლების ელიტისათვის ის არ აღმოჩნდა საკმარისი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების დასანერგად და განსამტკიცებლად, იგრძნობოდა აშკარა ტენდენცია სისხლის სამართლის პოლიტიკის რადიკალური ცვლილების მიმართულებით, დაინერგა ე. წ. ტელედაპატიმრებები, როდესაც ადამიანების დაკავების პროცესს ტელეეკრანებზე სიუჟეტების სახით აშუქებდნენ, 2004 წლის 13 თებერვლიდან შემოღებული იქნა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და ის მანკიერი პრაქტიკა, რაც ბრალდებულის მიერ ფულადი თანხის აუცილებლად გადახდასთან იყო დაკავშირებული. მკვეთრად იზრდებოდა პროკურორის ფუნქციები, მის პარალელურად კი მცირდებოდა გამომძიებლის სტატუსი სისხლის სამართალწარმოების პროცესში. სულ რაღაც ხუთი წლის განმავლობაში კანონმდებლის მიერ იმდენი ახალი ინსტიტუტი თუ რეგულაციები იქნა შეტანილი (800-ზე მეტი), უმეტესწილად ანგლოამერიკული სამართლის სისტემიდან ნასესხები და მათეულად მოდიფიცირებული (მაგ. საპროცესო შეთანხმება, საგამომძიებო ვადები და ა. შ.), რომ როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ვ. ბენიძე, სრული ტრანსფორმაცია განიცადა, ფაქტობრივად დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და პრაქტიკული საქმიანობისათვის სავსებით უვარგისი აღმოჩნდა, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშნისას, საერთოდ გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შთანთქმის პრინციპი და დანაშაულის ერთობლიობის დროს სასამართლო ორგანოების მიერ მხოლოდ სასჯელის შეკრების წესები გამოიყენებოდა, რა დროსაც განსაკუთრებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებზე სასჯელის ზომის გაუმართლებელ დამძიმებას იწვევდა.

სისხლის სამართლის პოლიტიკა, ისევე როგორც ზოგადად პოლიტიკა, ცვალებადია და ქვეყანაში რეალურად არსებულ გამოწვევებს უნდა პასუხობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და პირველ რიგში, სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრებას უშლის ხელს, ასეთ შემთხვევაში სასამართლოსადმი ნდობა საზოგადოების

მხრიდან ან უარყოფითია, ანდა მკვეთრად დაბალი (გახოკიძე, მამნიაშვილი, მელქაძე, ლომიძე, 2013: 624-634).

საქართველოში „ნულოვან ტოლერანტობას“, რომელიც 2006 წლიდან დაიწყო, საფუძვლად დაედო ამერიკული (ნიუ-იორკის) მოდელი. „ჩატენილი ფანჯრის“ თეორია, რასაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ნიუ-იორკის მერი ჯულიანო ახორციელებდა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავება და მიღება დაემთხვა სწორედ იმ პერიოდს, როდესაც ქვეყანაში „ნულოვანი ტოლერანტობა“ სულ უფრო მეტად ვითარდებოდა და არასახარბიელო სახეს იღებდა, ამის მკაფიო გამოხატულებაა ის, რომ თუ კი 2005 წელს პენიტენციალურ სისტემაში სასჯელს იხდიდა 9,573 მსჯავრდებული, 2012 წელს 23 ათასს გადააჭარბა, კიდევ მეტი, თუ კი წინა საპროცესო კოდექსში განხორციელებული იყო იგივე ცვლილება, რაც შემდგომ მოქმედ საპროცესო კოდექსში მთლიანად იქნა ასახული, ადვილად დავრწმუნდებით იმაში, რომ ფაქტობრივად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებისთანავე ხელისუფლების მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომ გაგრძელებას ემსახურებოდა.

ამავე დროს, საოცარი რამ მოხდა, ერთის მხრივ, ევროპული პროცესი იქნა შემოტანილი სამოქალაქო სამართალში, ხოლო სისხლის სამართალში დაიწყეს სხვა, ამერიკული პროცესის შემოტანა, ზოგჯერ ერთსა და იმავე დარგში ნაწილი ევროპული იყო, ნაწილი კი ამერიკული (უგრეხელიძე, 2015 : 10-11), საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ დღეისათვის სისხლის სამართლის კოდექსი კონტინენტური (ევროპული) სამართლის სისტემის მოდელის ტიპს წარმოადგენს, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის მოდელის ტიპს განეკუთვნება.

განვლილმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკამ, რომელიც „ნულოვანი ტოლერანტობით“ იყო ცნობილი, არასასურველი შედეგები გამოიღო და სრული ფიასკო განიცადა.

2012 წლის ოქტომბერში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ რადიკალური ღონისძიებები განახორციელა „ნულოვანი ტოლერანტობის“ აღმოსაფხვრელად, როგორც ორგანიზაციული, ასევე საკანონმდებლო მიმართულებით.

პარლამენტმა მიიღო „ამნისტიის“ აქტი, რომლითაც სასჯელადსრულებითი დაწესებულებებიდან გათავისუფლდა 12 ათასამდე მსჯავრდებული, ასევე ძალზე ბევრი პრობაციონერი, 200-მდე მსჯავრდებული პოლიტპატიმრადაა აღიარებული.

უფრო ლიბერალური გახდა როგორც სისხლის, ასევე საპროცესო კანონმდებლობაც, კერძოდ, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულე-

ბებზე კვლავ შემოღებული იქნა სასჯელის დანიშვნის შთანთქმის პრინციპი, ამოქმედდა ალტერნატიული სასჯელები მედიაციისა და განრიდების სახით; პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და რაც მნიშვნელოვანია, უფრო ლიბერალური გახდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, შემუშავდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამო-სატანად საკმარისი მტკიცებულებათა სტანდარტი (სსსკ მე-3 მუხლის 111 ნაწილი), მას ჩამოსცილდა ბრალდებულისაგან ფულადი თანხების სავალ-დებულო გადახდის მანკიერი პრაქტიკა, დაზარალებულს მიეცა უფლება, სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან/და შეწყვეტის შემთხვევა-ში განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში პროკურო-რის დადგენილება გაასაჩივროს სასამართლოში და ა. შ.

მიუხედავად კანონმდებლობაში შესული მრავალი ცვლილებებისა, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, რაიმე სახის, თუნდაც მცირედი გაუმჯობესება მაინც გამოძიებასა და გამომძიებლის ინსტიტუტის სრულყოფისა და დახვეწის მიზნით საერთოდ არ განხორციელებულა და ფაქტობრივად, იგივე დონეზე დარჩა, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო. არადა, სწორედ გამომძიებლის სტატუსის უგულვებელყოფამ, მისი უფლება-მოსილების „ნულის ტოლამდე“ დაყვანამ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში მარ-თლმსაჯულების პროცესის ის უარყოფითი მოვლენები, რომლებზედაც ზე-მთხედვით გვეჩვენება საუბარი და მის მძიმე შედეგებს, მხედველობაში გვაქვს „სამა-რთლიანობის აღდგენა“, სამწუხაროდ, დღესაც ვიმკით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც „სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებას“ შეეხება, საუბარი მი-დის მართლმსაჯულების პროცესის განხორციელებაზე, ეს კი შეეხება არა მა-რტო სასამართლო ორგანოების საქმიანობას, არამედ უკავშირდება მთლია-ნად მართლმსაჯულებას. ეს კი ხდება როგორც სასამართლომდე, მაგალი-თად, გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოს შემდეგ - განაჩენის აღსრუ-ლების ეტაპზეც (უგრეხელიძე, 2015 : 12), კიდევ მეტი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, კოდექსის მიზანს წარმოადგენს გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესების დადგენა. ამდენად, საქმის სასამართლოში განხილვასთან ერთად, გამოძიება და სისხლისსამართლე-ბრივი დევნა სამართალწარმოების ნაწილს განეკუთვნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საგამომძიებო ორგანოების, გამომძიებლის, პროკურორისა და პროცესის მონაწილეთა საქმიანობა, რასაც გამოძიება ეწოდება, და პროცესის დამოუკი-დებელ სტადიას წარმოადგენს, ხორციელდება არა ცალკე, თავისთავად და

დამოუკიდებლად, არამედ ის მჭიდროდაა დაკავშირებული სასამართლო ორგანოების საქმიანობასთან.

ამდენად, გამოძიება მიჩნეულია მართლმსაჯულების პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად. აღნიშნულის გამო გამოძიებლის უფლებამოსილების გაუმართლებელი შეზღუდვა ისეთ დონემდე არის დაყვანილი, რომ გამოძიების სტადიაზე ის გვევლინება მხოლოდ პროკურორის „ტექნიკურ დამხმარედ“, რადგანაც საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების საშუალებით ბრალდების მტკიცებულებათა შეკრების გარდა სხვა უფლებამოსილება არ გააჩნია, არც რაიმე გადაწყვეტილების მიღების უფლებით არ სარგებლობს, შესაბამისად, არც რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, სრულიად ზედმეტია ვიმსჯელოთ მისი მხრიდან საქმის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების ჩატარების თვალსაზრისით და სწორედ ამ მოტივით, გამოძიების სტადიაზე დაშვებული ნაკლოვანებები და შეცდომები, თუნდაც „ტენდენციური“, უკიდურეს უარყოფით გავლენას ახდენს ზოგადად მართლმსაჯულების პროცესის წარმოებასა და სისხლის სამართალწარმოების პროცესში ადამიანისათვის გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ამის მკაფიო გამოხატულებაა განვლილი თხუთმეტი წლის საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, როდესაც მყისიერად შესუსტდა გამოძიებლის სტატუსი სისხლის სამართალწარმოების პროცესში, ხოლო მის კვალობაზე განუზომლად გაიზარდა პროკურორის ფუნქციები, რადგანაც საგამოძიებო ორგანოებიდან სასამართლოში წარმართულ საქმეთა 90%-ზე მეტ საქმეზე განაჩენი საპროცესო შეთანხმების შედეგად დგინდებოდა, ხოლო საპროცესო შეთანხმების გაფორმება დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ პროკურორის „კეთილ ნებაზე“, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებისა და მისი მხრიდან გარკვეული ფულადი თანხის ჯარიმის გადახდის „სურვილის“ გამოხატვით. კიდევ მეტი, ნაცვლად იმისა, რომ პროკურატურის ორგანოები დაკავებულები ყოფილიყვნენ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლით, სრულყოფილი და კვალიფიციური გამოძიების მიზნით განეხორციელებინათ ეფექტური საპროცესო ხელმძღვანელობა, ფაქტიურად, პროკურატურა გადაქცეული იყო „სავაჭრო წერტილად“, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ ისინი ბრალდებულებს აიძულებდნენ, ჯარიმის სახით, რაც შეიძლება მეტი თანხა გადაეხადათ და დღესაც საზოგადოებისათვის უცნობია, 2004-2012 წლებში საპროცესო შეთანხმების გაფორმების შედეგად ბრალდებულებს რა რაოდენობის ფულადი თანხა აქვთ გადახდილი. გამოძიების უფლებამოსილების უკიდურესად შესუსტების გამო, აბსოლიტური უმრავლესობა ასეთი საქმეებისა ფაქ-

ტიურად გამოუძიებელი იყო, ხოლო ბრალდებულისაგან ბრალის აღიარება იძულებით ხასიათს ატარებდა. გამომძიებლებიც იმ დროისათვის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებით, ცალკეული ვერსიების შემოწმებით კი არ იყვნენ დაკავებულნი, არამედ როგორც ბრალდების მხარე, პროკურორის ნება-სურვილის შემსრულებლები იყვნენ და ყველანაირად ცდილობდნენ ბრალდებულისაგან კანონიერი თუ უკანონო მეთოდებით როგორმე მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები, რაც შემდგომ, თუნდაც გამოუძიებელ საქმეებზე, სავსებით საკმარისი იყო პროკურორს მასთან ადვოკატის მონაწილეობით გაეფორმებინა საპროცესო შეთანხმება, რითაც ფაქტიურად ინიღბებოდა თითოეული კონკრეტული საქმის გამოუძიებლობის ფაქტი; ბრალზე შეთანხმება და სასჯელზე შეთანხმება პრაქტიკაში ურთიერთშორის იყო აღრეული, სხვა სიტყვებით რომ თქვათ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს პროკურორები, მხოლოდ სასჯელზე შეთანხმებით არ კმაყოფილდებოდნენ, ისინი დაცვის მხარისაგან მოითხოვდნენ, ასევე ბრალდებულისაგან ბრალის აღიარებასაც. ამიტომაც იყო, რომ საგამომძიებო პრაქტიკაში ვერ ვნახულობთ პრეცედენტს იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმება მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ „სასჯელზე შეთანხმებით“, არადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 6791 მუხლის თანახმად, ხსენებული ორი პირობიდან ერთ-ერთის არსებობაც კი საკმარისი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის (მამნიაშვილი, 2008 : 737-749). საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკა განსაკუთრებით გაიზარდა მოქმედი საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ, საკმარისია აღინიშნოს, რომ 2010-2012 წლებში საგამომძიებო ორგანოებიდან სასამართლოში წარმართული საქმეების თითქმის 95 პროცენტზე მეტი საპროცესო შეთანხმებით მთავრდებოდა, რა თქმა უნდა, გამოძიების სტადიაზე „თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი“ უბრალოდ გამორიცხული იყო და ფაქტობრივად პროკურორის ნებაზე იყო დამოკიდებული, სასამართლო ორგანოები მტკიცებულებად აღიარებდნენ მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ გადაცემულ ინფორმაციებს, მით უმეტეს თუ კი გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ იმ დროისათვის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულების სტანდარტს.

პროკურორის უფლებამოსილების გაზრდისა და გამომძიებლის სტატუსის უკიდურესი შესუსტებით უნდა აიხსნას ჩვენს მიერ საგამომძიებო პრაქტიკიდან ქვემოთ მოყვანილი მაგალითები.

გენერალური პროკურატორის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე მერაბ ლურსმანაშვილისა და ნუგზარ ბარბაქაძის მიმართ.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2010 წლის 6 სექტემბერს მთავარმა პროკურატურამ დააკავა სამშენებლო კომპანია „მშენებელი XXI საუკუნის“ დირექტორი და დამფუძნებელი მერაბ ლურსმანაშვილი და ნუგზარ ბარბაქაძე. მათ მშენებლობის პროცესში ამხანაგობის კრების ოქმის გაყალბებასა და უკანონოდ გამოყენებას ედავებოდნენ. გამოძიების მიმდინარეობისას მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებმა პროკურატურაში დაიბარეს დაკავებულების მეუღლეები და განუცხადეს, რომ თუ სურდათ მათ მეუღლესთან საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო, მაშინ აუცილებელი იყო უსასყიდლოდ დაეთმოთ წყნეთის გზატკეცილის N39-ში მდებარე, მათ კანონიერ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკავებულებს დიდი ხნით მოუწევდათ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნა. ზეწოლის შედეგად, რადგანაც ისინი არაერთხელ გამოიძახეს პროკურატურაში, იძულებულნი გახდნენ, დათანხმებოდნენ პროკურატურის უკანონო მოთხოვნას, სახელმწიფოს სახელზე გადააფორმეს მათ საკუთრებაში არსებული ბინები, მხოლოდ ამის შემდეგ, პროკურატურამ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა, სადაც არ ასახულა საცხოვრებელი ბინების დათმობის ფაქტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დაამტკიცა მხარეთა შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება, თავისი განაჩენით ბრალდებულებს მ. ლურსმანაშვილსა და ნ. ბარბაქაძეს შეეფარდათ პირობითი მსჯავრი, დაეკისრათ ჯარიმა და მათ აღკვეთი ღონისძიება გაუუქმდათ.

უკანონოდ ჩამორთმეული ბინები კი პროკურატურასა და თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე აღირიცხა.

ბინების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტზე მხილებულია ის პროკურორი, რომელიც უშუალოდ აღნიშნულ საქმეზე ახორციელებდა საპროცესო ხელმძღვანელობას, მაგრამ გამოძიებასთან განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო მის მიმართ არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და მიღებულია ლიბერალური გადაწყვეტილება (საქმე N07429021681).

უხარისხო, ზერელე და უპასუხისმგებლო გამოძიების მაგალითია რამაზ თოთლაძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, კერძოდ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 ივლისის განაჩენით რამაზ თოთლაძე დამნაშავედ სცნო საქართველოს სსლ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტით, მასში რომ ის ახდენდა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას და დაუსწრებლად სასჯელის ზომად შეეფარდა 9 წლის

ვადით თავისუფლების აღკვეთა, დაეკისრა 50 000 ლარის ოდენობით ჯარმის გადახდა, ასევე ჩამოერთვა საცხოვრებელი ბინა და საოფისე ფართი.

თბილისის სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო სასამართლომ სავსებით გაიზიარა მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და დადასტურებულად მიიჩნია, რომ რ. თოთლაძეს ბრალდება უკანონოდ ედავებოდა საცხოვრებელ ბინას და საოფისე ფართის შექმნის გზით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რის საფუძველზეც მას ჩამორთმეული ჰქონდა ხსენებული უძრავი ქონება. რამაზ თოთლაძის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი. მოეხსნა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50 000 ლარი (საქმე N074011215802).

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითები აშკარად მოწმობენ იმაზე, რომ გამოძიებისა და გამომძიებლის უფლებამოსილების გაუფასურებამ და მის ხარჯზე პროკურორის სტატუსის უკიდურესმა გაზრდამ, მართლაც არასასურველი შედეგები გამოიღო და არც არის გასაკვირი ის, რომ სასამართლო ორგანოების მიერ 2004-2012 წლებში დადგენილი განაჩენებიდან გამამართლებელი განაჩენი ძალზე იშვიათი იყო.

როგორც ზემოთ ითქვა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რადიკალური ღონისძიებები იქნა გატარებული, როგორც სისხლის სამართლის, ასევე საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით, სასამართლო ორგანოები განთავისუფლდნენ პროკურატურის „წინესაგან“, იმის გამო, რომ შემუშავდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებათა სტანდარტი, სასამართლო ორგანოები მკაცრად იცავენ მას და აქცევენ საპროცესო კანონმდებლობის ჩარჩოებში, რის გამოც მკვეთრად შემცირდა საპროცესო შეთანხმებით დამთავრებულ საქმეთა ოდენობა და ის 60%-ს არ აღემატება, მომრავლდა ასევე სასამართლო ორგანოების მიერ გამამართლებელ განაჩენთა დადგენის რაოდენობაც.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითები აშკარად მოწმობენ იმაზე, რომ გამოძიებისა და გამომძიებლის უფლებამოსილების გაუფასურებამ და მის ხარჯზე პროკურორის სტატუსის უკიდურესმა გაზრდამ, მართლაც არასასურველი შედეგები გამოიღო და არც არის გასაკვირი ის, რომ სასამართლო ორგანოების მიერ 2004-2012 წლებში დადგენილი განაჩენებიდან გამამართლებელი განაჩენი ძალზე იშვიათი იყო.

როგორც ზემოთ ითქვა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რადიკალური ღონისძიებები იქნა გატარებული, როგორც სისხლის სამართლის, ასევე საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და ლიბერა-

ლიზაციის მიმართულებით, სასამართლო ორგანოები განთავისუფლდნენ პროკურატურის „წინესაგან“, იმის გამო, რომ შემუშავდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებათა სტანდარტი, სასამართლო ორგანოები მკაცრად იცავენ მას და აქცევენ საპროცესო კანონმდებლობის ჩარჩოებში, რის გამოც მკვეთრად შემცირდა საპროცესო შეთანხმებით დამთავრებულ საქმეთა ოდენობა და ის 60%-ს არ აღემატება, მომრავლდა ასევე სასამართლო ორგანოების მიერ გამამართლებელ განაჩენთა დადგენის რაოდენობაც.

კიდევ მეტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შემუშავდა კანონპროექტი „პროკურორისა და გამომძიებლის უფლებამოსილების გამიჯვნისა და პასუხისმგებლობის შესახებ“, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე არა გვაქვს საშუალება დეტალურად ვისაუბროთ ამ კანონპროექტზე, მაგრამ ერთი უდავოა, პარლამენტის მიერ აღნიშნული კანონპროექტის მიღება, ვფიქრობთ, სასიკეთოდ წაადგება ზოგადად გამომძიებლის ინსტიტუტს, კერძოდ კი ადამიანის უფლებებთან უკეთ დაცვის რეალიზაციას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბიოტიხერი, ასბროკი (2015) სამოქმედი სისხლის სამართლის პროცესი საქართველოში, გერმანელი ექსპერტების, აქსელ ბიოტიხერისა და ბერნარ ასბროკის მოხსენება, 2015;
- ბენიძე, (2012). ბენიძე. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შემდგომ სულყოფას მოითხოვს. რ. შენგელიას 70 წლის იუბილესთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია. გამომც. „სამართალი“;
- გახოკიძე, ჯ. მამნიაშვილი, მ. მელქაძე, ზ. ლომიძე, ნ. (2013). ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ზ. მელქაძე, ნ. ლომიძე. სისხლის სამართალწარმოების პოლიტიკა არსებითად უნდა შეიცვალოს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტომი XI,
- უგრეხელიძე, მ. (2015). მინდია უგრეხელიძე. შესავალი სიტყვა (ტრანსკრიპტი). საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურ. „სამართალი და მსოფლიო“. სპეციალური გამოშვება. კონფერენციის შრომები. N2.
- მამნიაშვილი მ. (2008). მ. მამნიაშვილი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. „სსუ გამომცემლობა“, თბილისი, საქმე N07429021681, თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე N074011215802, თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი.